# საქართველოს გაზეთი

ივლისის დ დღესა ჩყით წლისა თფილისში.

Но. 18.


## სანკტპეტერბურღს

### უმაღლესი ბრძანება

მაისის იგ რიცხვსა

### დაინიშნების

ცხენოსნის მხედრობისა, ლეიბ-ღვარდიის უჰლანის პოლკის პორუჩიკი წინამძღვარიშვილი ობერ-ვაგენმეისტერად განყოფილს საქართველოს კორპუსში.

### განწესდების სამსახურსა შინა

ცხენოსნის მხედრობაში, ლიშკანის სამსახურის პოდპოლკოვნიკი ვან-დალენი ნიჟეგოროდის დრაგუნის პოლკში მაიორად.

გარდაცვალებულნი გამოირიცხვიან ნუსხებიდამ.

ქვეითს მხედრობასა შინა: მეცხრე ეგერის პოლკის პორუჩიკი სკირმუნტი, გარნიზონში: ასტარხნის გარნიზონის პოლკის პოდპორუჩიკი ფედოროვი.

მაისის იგ რიცხვსა

### გარდმოიყვანების

ქვეითის მხედრობისა: მეთხუთმეტე ეგერის პოლკის მაიორი პეტრიევი შიდაურთა საქმეთაგამო ყიზლარის გარნიზონის ბატალიონში.

### სანკტ-პეტერბურღიდამ უწყება.

მაისის იგ რიცხვსა გარდაიცვალა აქ შემდგომად მოკლე-ჟამიერისა სნეულებისა, ღენერალ-ლეიტენანტი და სენატორი საქართველოს მეფის გიორგის ძე დავით.— დამარხვა გვამისა მისისა იყო კა რიცხვსა შესაბამით პატივითა.

ისპოლნიტელნის ექსპედიციისაგან ეცხადების საზოგადოდ.

ა. მოიწოდებიან ვალის მიმცემნი და ვალის ამღებნი მეღვინეკისის მცხოვრებთ მასურასი და მისის შვილის სვიმონ ყულაშვილებისა და მხოლოდ ვალის მიმცემნი რომლებისაც ჰმართებს მებატონეს ფრანციშკას მანგენსკის, ასე რომ პირველ-ჰხსენებულნი ვალის მიმცემნი და მოვალენი ყულაშვილებისანი გამოცხადდენ საბუთებით გორის უეზდის სასამართლოში ლ რიცხვსა ივლისის თვისასა.—

ბ. მოიწოდებიან, რომელთაც ჰნებავსთ ერთის წლით იჯარით აღება სახაზოსა და სამღებროები-

სა იმერეთში, ანუ რომ იგინი გამოსცემდენ იმერეთის ქამიერს მმართებლობაში ჰაემანზედ ზ, ი ჲ იმ იქმნის თთვის რიცხვს.—

ჲ გარდა ამისსა

ბ. ეუწყებისა საზოგადოდ ყოველთა მცხოვრებთა საქართველოსათა საცნობელად, რომელ საუწყებელსა ზედა უმაღლესისა მისის იმპერატორებითის დიდებულებისა ბრძანებისასა იქმნების გამოცვლილად მცველთა ასსიგნაციათა ახალთა ზედა, ჰირველის რიცხვის ივლისის თთვიდამ დაიწყებს ვიდრე ჩუკ წლის იანვრის ჰირველამდე თბილისისა, ელისავეტპოლისა ჲ ზაქის სასაზინოთა შინა ყოველდღე გარდა უქმეთა ჲ სადღესასწაულოთა დღეთასა დილის ექვსის საათიდამ მეათე საათამდე; შემდგომად უკვე მის ჰაემანის განვლისა ეგე იგი იანვრის ჩუკ წლის ჰირველის რიცხვიდამ, მცველნი ასსიგნაციანი ჰირველთა სამთა ღირსებულებათანი ასისა, ორმოცდა ათისა ჲ ოცდა ხუთის მანეთოვნისანი არსად გამოსცვლილად ჲ ფასად მისაცემელად მიღებულნი აღარა იქმნებიან.—

---

ეუწყებთ მკითხველთა საქართველოს გაზეთისათა რომელ კვ-ის წარსრულის ივნისის რიცხვიდამ ლ-ს მისვე თთვისს რიცხვამდე იყო ქალაქსა სავეთილშობილოსა სწავლებულსა შინა საზოგადო გამოცდილება გინა ეგზამენი მოწაფეთა. წარმატებანი გამოცხადებულნი მათ მიერ ჰსწავლათა შინა მდინარებასა შინა აწინდელისა წლისასა იყვნენ ფრიადრე ჩინებულნი ჲ სრულსა ზომასა შინა დაგვირგვინებულ-იქმნა შემობრივი მზრუნველობა მიღებული აღზრდისათვის მათის საქართველოს სამხედრო-სამოქალაქო ღუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელის უფლის ღენერლ-მაიორის ჲ კავალერის სოლევნისაგან.— მშობელნი რომელთა დასწრებასა შინა იწარმოვა ეგზამენი, აღტაცებულ-იყვნენ სიხარულითა ა იხილვიდ შვილნი თვისნი განსხვავებულნი სხვათაცა ჰსწავლათა შინა, ამა ქამიერის მთლამდი უცნობელთა ესე იგი: ფორტეპიანოსა, სიმფონიასა, ბოტანიკასა ჲ განცდომასა შინა, ჲ გარდა ამისსა თათრულსა ჲ სპარსულსა ენათა ზედა, რომელთა ჰსწავლა აქამდის შემოუღებელ-იყო სასწავლებელსა შინა. ესრეთითა სახითა გულსა შინა ყოველთა მხილველთასა განცხოველდა იმედი კვალად უმეტესთაცა წარმატებათათვის წინასწარ-მომავალსა ჟამსა.— უკანასკნელსა დღესა ეგზამენისასა მუზიკის დაკვრითა დაურიგეს მოწაფეთა თვითოეულსა გამოცხადებულისა განსხვავებისამებრ ჯილდონი რომელნიცა იყვნენ სასოფლო წიგნნი მათემატიკის იარაღნა ჲ სხვანი ჩინებულთა დიდთა კაცთანი; ამასთანავე წარმოითქმულ-იქმნა ქართულსა ჲ რუსულსა ენასა ზედა შესხმა განმაცხადებელი მადლობისა მიცვალებულთა მხილველთათვის მოწაფეთა მხრით.—

შეუსრულებელი ამბავი ქალის მარიამისი.

შემიწყალე მე, კაროლინავ! შენს გულზედ მიმიკარ ჲ განმამტკიცე შენის მეგობრობით, შენის სიყვარულით, დამტკიცე მიწყნარება ჩემი, რომელ კეთილ-მოქმედება არის რომელ არ გაქრეს იგი მსგავსად უბედურების ფიქრისა, რათა არა შევიქმნა მე ყოვლად გარეშე ჩემის მოსსენებულის ყოფნისაგან. ჩემს მარტობაში ეჰსცხოვრებ მე მხოლოდ სიმწარითა ჲ სხვა უკვე ყოვლად გარეშე ჩემსა ჲ თვით ჩემ შორის მყოფარ-არს. მე ვვიშილი მენება ჲ აღუსრულებელი სიმართლის ჰსჯულსა ჲ განვებ მისთვის მსჯის მე, მყვედრიან მე კაცნი ვითარცა რაზმისა შემცოდებისათვის? მაშინ-დანი

ჩემნი მჳრმნობენ თავისით თავს დამდამლებულად და ამას არ მოჰყავს იგინი სიყვარულისადმი; მშობელნი ჩემნი განზრახვასა ჩემსა უარ-ჰყოფისათვის მემკვიდრეობისაგან უწოდებენ სასაცილოდ, სიყვარულისან სიგიჟედ, და მამამან განმომიცხადა მე დასასჯელად; რომ შენ ვერდარ იცხოვრებ შენის მშობლების სახლშიო და ამის მაგიერად მიქცევ ამა და ამ სასახლეში მხლებელს ქალადო; ეს ვქონია შენ ხომ იცი თუ ვითარ და სრულიად ყოვლის ჩემის თვისების, წადილისა და ჩვეულების წინააღმდეგი არის და ყოველსა ამას მოთმინებით ვიტვირთებდი, უკეთუმცა არ შეეწყუებინე მე მას — ფიცხელობითა უმაგალითობით. — სასიკვდილოს ისრით განგმირა მან გული ჩემი. აღტაცებულის სიხარულით მომიგანა მე მან ამბავი, რომ შემდგომად წიგნის გახსნისა შენ მხოლოდ აღმოჩნდი მემკვიდრედ, და სიმებსკი დანიშნული აქვსო მხოლოდ ჰსჯულიერი ნაწილიო. — უმცირესადაცა ეჭვი არა მქონდა, რომელ ჩემი განზრახვა მას არ მოეწონებინა, მე განუცხადე მას ჩემი განზრახვა და ვაჩვენე სასამუთო წერილი, რომელიცა მიმტკიცებდა მე სრულსა ასაკოვნებასა და სრულსა სამართალსა ჩემის ნებისაებრ მამულის განკარგულებისასა. — ის გაშმაგდა; მეცადინობდა მლევასა ჩემსა საჭურველითა თხოვისა და მირმოთნეობისათა, შემდგომად ყოვლისა ელვარებითისა და მრწყინვალებითისა მხოლოთისა სიბრძნისათა, უკანასკნელ ყოვლითა ქადნიერის სჯულიერითა სრულიადსა უცოდინარობასა შინა ჩემსა კანონთა ცხოვრებისათა და ყოველსა ამას იქმოდა იგი მისთვის, რათამცა დამეწყნუა მე სიმართლეცა და მოვალეობაცა ჩემი? მან განგმირა გული ჩემი: შემამცნო მე გამოცდილი ესრეთისა საქმისა, რომელიცა აღმეკარგებინა მე კეთილად — მე, რომელმანცა აღრიდგანე გულად ჩემდა დარჩენილიყო, რათა წამსა განსაცდელისასა არა შეერთობოდა ჭკუა განმიგებათამი კანონნი ჩემნი? სასჯელი ჩემი იყო მოკლედ. —

მან დაიწყო შეშინება ჩემი და ამან ახალმან. ჩვენ შორის უმსგავსობამან ღონისძიებასა შინა ჰამბრისა და გრძნობისამან ფიცხლად მოსწყლა გული ჩემი; უკანასკნელ განმგმირა იგი მე: მეორეს დღეს მივიღე მე წერილი, რომელსა შინა მიცხადებდა იგი, რომელ იძულებული-ვარ მით უმეტეს მით გარდაწყვეტილებით გთხოვ შენ რათა გამოსცვალო შენი განზრახვაო, რომელ იგი არს მიზეზი გარდამეტებულისა ოცნებისაო თუმცალა შენ დიახ კარგი გგონიაო; მაგრამ შენ უნდა აღიარო იგი სრულიად საწინააღმდეგოდ ჰსჯულისა საზოგადოსა ქცევისა და კანონთა ცხოვრებისათაო, ოდესცა მიიღებ ჯეროვანსა განითარგმასა; რომელ სიყვარულმან შენმან მომცა თავის ზედა შენსა სამართალი, რომლისაც უარი მე არ შემიძლიანო და რომელსაცა უცვლელად ვიმყოფები მით უფრო უმეტეს, რომელ მდგომარეობა ჩემი ნებას არ მაძლევსო შევირთო ქალი, რომელსაცა არა აქვნდეს შეძლება და მდგომარეობაო და დასამტკიცებელად შენის წადილისა, რომ მე ბედნიერი მნახო მე უთუოდ ვითხოვ; რომ ამ საქმეში სრულად მე მომენდო ჰაზრსა ამას ასხია მშვენიერი სიტყვები; მაგრამ გული ჩემი ცხოვლად ჰგრძნობს სიცრუვესა ლექსთა მისთასა და ჭეშმარიტებასა ცრემლთა ჩემთასა.

ყოველთუ შეიძლებდეს განდიდებასა სიყვარული ჩემი შენდამი, საწყალო, კეთილშობილო ჩემო კაროლინავ; მაშინ უკანასკნელი წერილი მოგიწერეებდაცა შენ ახალთა სამართალთა გულსა ჩემსა ზედა, იგი ჰმსახურებდა სამკურნალოდ ჭრილთა ჩემთათვის მალამოდ, და შეასრულებდა მას, რაჲცა უკვე დაწყებულ იყო ერთისა კეთილისა ანგელოზისა მიერ: ჰოი! ვისდაცა ღმერთსა მიუნიჭებიეს ნუგეშინისცემა, რათა მიჰმართოს კეთილ მოქმედოვანსა გულსა მეგობრისასა; იგი არა თანამდებ-არს სასოწარკვეთილ-იქმნას: გამოცვანა წყლის ხოლისა შეაწუხებს მას, გარ-

ნა ვერ შთაგვაგდებს დასაკარგველად განუდგო-
ღელის წუწუმპელობისა შინა? — იგი ლავე და
ჩემთვის ძლიერ ძნელი მე ვერ ვიკადნიერე ლო-
ცვად, ვინაიდგან ვგრძნობდი, რომელ არ მი-
მქონდა ლოცვად ყოვლისაგან გულისა, ხოლო ხიკვევანი
უკვე მხოლოდ არა ღირს ვარი ნამისა ზე-
ციერისანი მე ვგრძნობდი ნაკლულევანებასა მად-
ლისა მოსწყენებულისა განზრახვისათვის მელის-
გამო ჩემისა, და გამოუთქმელად ვიშიშოდი წი-
ნასწარწარმომდგარისა ჩემდა მოძღვრისა განმგე-
ლებულისა და ფრიად მძულისა; გარნა უფალი
არა დაუტევებს უმამოდ თვისთა. თვითოეულსა ვნე-
ბასა ჰყავს მანუგეშებელი ანგელოზი; და რაჲ
არს უმანუგეშებელი სიყვარულსა ზედა ქრის-
ტესა, ხოლო კეთილმოწყალებისა? სრულიად მიუ-
ლოდნებელად იყიდა უმსგავსოდ ვილოცემინა მამი-
და ჩემი! აღრითგანვე უნდოდა მას დახედვა სამ-
შობლოსა; და ვინაიდგან ჰქონდა ახსოვდა მას
თავისი მარიამ, ამად ჰქონდა ყველასა მოვიდა
აქ და იდეს, რომელსაცა ჟამსა შინა მაქვნდა
მე დიდი საჭიროება ამა ანგელოზ - მცველის აქ
ყოფნისა; გარ რადარა ვესცნობით ჩვენ მსჯავრისა
უფლისა ხსნილისა განგებულებისასა თუმცა
თვითოეულისა ჩვენგანისა რაოდენმე გზის სიცოცხ-
ლესა შინა თვით უიმედოსა მდგომარეობასა ში-
ნა თვით საკანჯველთა ვნებათა შინა მოულოდ-
ნელად წარმოუდგენს იგი მწყევნასა, სიხარულსა
და ნუგეშინისცემასა; თუმცა თვითოეული ჰგრძნობს
სულსა შინა თვისსა, რომელ იგი არსებს, რომელ
იგი გვიცავს ჩვენ და ყოველსა - აღგვიმკურნებს:
მრწმუნებლობა ამას შინა არს უკვე კეთილ-
უთქმელოვანესი ნუგეშინისცემა, რომლისათვისა
კელთა ზედა განგებისათა შესაძლო არს დამ-
ნედ ეპრეთვე მოსვენებით ვიაარცა დავმყარე-
ბის ჩვილი წიაღსა ზედა დედისასა. გამოცხა-
დება უთანასწორობისა მამიდისა ჩემისა იყო ჩემ-
თვის განთიადს ცისკრად ახლისა დღისა და იგი
ვასადაუდგებელი სარგებლობა, რომელ ჩვენნი ჰაზრნი
ჩვენნი გრძნობანი მოწონებულ იყვნენ კაცთა-
გან გვამისა მიერ უკეთილშობილესისა; წამისყო-
ფით უკუნმიქცევა მე მრწმუნებელობა მართლიადსა
საქმესა შინა და ჩემიცა სულისა მოსვენება.
ნუ ცუქმნებილა მე უკვე მედიდურად; გარნა
მე ვესავ რათა ვიცხოვრო მყუდროებასა ში-
ნა და კმაყოფილებით [illegible] მე მისგან
რაჲცა მარადის მიმცაცა მე უფროსმან მოძღვა-
მან ამ კაცისმან რომელიცა დიდად მიყვარდა
მე; მამიდამან ჩემმან მიიღო თანხმობა მშობელ-
თაგან ჩემთა თავისთან ჩემის წაყვანისა რამ-
დენსამე ჟამმდის და შენ მალევამს შენს თავს
წინ წარმოუდგინო თუ ვითარის წადილით მიველო-
დე მას. საიდუმლო ხმა მეუბნება მე, რომელ მე
თანამდევ ვარ მასთან ვიცხოვრო, განვმდიდრდე
მისის ჰაზრითა და მისის გრძნობით; რომელ მისი
ყოფნა განაცხოველებს და განამტკიცებს ყოველსა
რაჲცა ჩემს შორის კეთილი არის. —

---

(ამისი შესრულება შემდგომში იქმნება)